ხელშეკრულება № IP 040711

IP საოფისე სატელეფონო სადგურის (IP PBX) ინსტალაციის შესახებ

ქ. თბილისი 4 ივლისი 2011 წელი

შპს „ჯეონეთი", შემდგომში შემსრულებელი, მისი დირექტორის ალექსანდრე ქევხიშვილის სახით, ერთის მხრივ, და სსიპ „ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი", შემდგომში დამკვეთი, მისი დირექტორის ბუბა კუდავას სახით, მეორეს მხრივ, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. ხელშეკრულების საგანი

შემსრულებელი უზრუნველყოფს დამკვეთისათვის IP PBX ინსტალაციას და შემდგომ ტექნიკურ მომსახურებას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

2. გადასახადები და ანგარიშსწორება

2.1 IP PBX -ის ინსტალაციის ღირებულება შეადგენს 150 (ას ორმოცდაათი) ლარს დღგ-ის ჩათვლით. ინსტალაციის პირობები დაწვრილებით განმარტებულია დანართი №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

2.2 ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი IP PBX-ის ტექნიკური მომსახურებისათვის შეადგენს 45 (ორმოცდახუთი) ლარს დღგ-ის ჩათვლით. ტექნიკური მომსახურების პირობები განმარტებულია დანართი №2 -ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. დამკვეთის ვალდებულებები

3.1 დამკვეთი ვალდებულია მიაწოდოს შემსრულებელს წინასწარ შეთანხმებული სერვერი და საკონფიგურაციო მონაცემები IP PBX –ის ინსტალაციისათვის;

3.2 დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს 1 სატელეფონო საუბრისთვის 64 კბ/წმ სიჩქარის სიმეტრიული ინტენტენ შეერთება მის ინტერნეტ სერვის პროვაიდერთან;

3.3. დამკვეთი ვალდებულია გადაიხადოს IP PBX–ის ინსტალაციის ღირებულება მისთვის შემსრულებლის მიერ ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 5 (ხუთი) კალენდარულ დღეში;

3.4 დამკვეთი ვალდებულია გადაიხადოს ტექნიკური მომსახურების სააბონენტო გადასახადი ყოველთვიურად მისთვის შემსრულებლის მიერ ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 5 (ხუთი) კალენდარულ დღეში.

3.5 დამკვეთი ვალდებულია გამოყოს თავის თანამშრომელთაგან საკონტაქტო ტექნიკური პირი, რომელიც პრობლემის არსებობის შემთხვევაში გაუწევს კოორდინირებას დამკვეთის მხრიდან შემსრულებელთან ურთიერთობას. მის მოვალეობებში შევა დამკვეთის ოფისში პრობლემის მოგვარებისათვის ისეთი აუცილებელი ქმედებების განხორციელება, როგორიც არის IP PBX -ის სერვერისა და სატელეფონო მოწყობილობის შეერთების კონტროლი ინტენეტსა და დენის წყაროსთან, სატელეფონო შეერთებების შემოწმება და სხვა.

4. შემსრულებლის ვალდებულებები

4.1 შემსრულებელი ვალდებულია დააინსტალიროს IP PBX დამკვეთის კუთვნილ სერვერზე დამკვეთის მიერ მიწოდებული საკონფიგურაციო მონაცემების მიხედვით;

4.2 ყოველთვიურად გაუწიოს დამკვეთს IP PBX ტექნიკური მომსახურება, რომელიც გულისხმობს IP PBX - ის გამართული მუშაობისათვის საჭირო სამუშაოების ჩატარებას და ტექნიკური ხასიათის პრობლემების გადაჭრას.

64215000

5. ფორს-მაჟორი:

5.1 მხარეები პასუხს არ აგებენ ერთმანეთის მიმართ თავიანთი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით (ომი, სტიქიური უბედურებები, ხანძარი, დივერსია და სხვა);

5.2 ასეთი გარემოებების არსებობისას მხარეები ვალდებულნი არიან შეატყობინონ ერთმანეთს ზემოაღნიშნული გარემოებების მოქმედების დაწყებისა და დამთავრების შესახებ.

5.3 თუ ფორს-მაჟორული გარემოება გრძელდება 60 დღეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, ამასთან არ აგებენ არავითარ პასუხს ერთმანეთის წინაშე.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან;

6.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 1 (ერთი) წელი;

6.3 ხელშეკრულების მოქმედების ვადა ავტომატურად გაგრძელდება 1 წლით, თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე 14 დღით ადრე რომელიმე მხარე წერილობით არ შეატყობინებს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

6.4 გარდა მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ფორს-მაჟორული გარემოებისა, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისათვის აუცილებელია მეორე მხარის წერილობითი ინფორმირება 30 (ოცდაათი) დღით ადრე;

6.5 ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში მხარეები ახორციელებენ საბოლოო ანგარიშსწორებას.

7. დავის გადაწყვეტა

ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დავების, ურთიერთპრეტენზიებისა და უთანხმოებების გადაწყვეტა ხდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, თუ ასეთი შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული, მაშინ დავა გადაწყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ზოგადი დებულებები

8.1 ხელშეკრულებაში ცვლილება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის გაფორმების გზით.

8.2 ეს ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი ძალა. ამ ხელშეკრულების ერთი ეგზეპლიარი ინახება შემსრულებელთან, მეორე – დამკვეთთან.

9. მხარეების რეკვიზიტები:

შ.პ.ს. „ჯეონეთი"
ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 41
ტელ: 470000; ფაქსი: 470001
საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი
კოდი: 220 101 502 a/a 015467530
e-mail: info@geonet.ge;
www.geonet.ge

სსიპ „ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი"
ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის 1/3
ტელ : 36 40 94
ს.კ. 211368474
E-mail:gogagagnidze@manuscript.ac.ge
www.manuscript.ge

10. მხარეების ხელმოწერა

შემსრულებლის სახელით:

დირექტორი:

_____ ა. ქევხიშვილი

დამკვეთის სახელით:

დირექტორი:

_____ ბ. კუდავა

დანართი №1

IP PBX ინსტალაცია

1. **პროგრამული უყრუნველყოფა**
- Elastix 2.0.0;
- Firewall;
- Fail2Ban.

2. **სატელეფონო ნომერი**
- თბილისის მრავალარხიანი ნომერი (Trunck) - 247 42 42;
- შიდა ნომრები (Extentions) – 10

3. **ინტერაქტიული ხმოვანი ჩანაწერები (IVR)**

4. **ფუნქციები**
- რიგი;
- მიმართულებების შეზღუდვა შიდა ნომერების მიხედვით;
- ზარის განკარგვა;
- მუსიკა ლოდინის რეჟიმში;
- ზარების ისტორია;
- ოპერატორის სამართავი სისტემა.

შემსრულებლის სახელით:

დირექტორი:

_____ ა. ქევხიშვილი

დამკვეთის სახელით:

დირექტორი:

_____ ბ. კუდავა

დანართი №2

IP PBX - ის ტექნიკურ მომსახურებაში შედის:

1. IP PBX - ის ტექნიკური პრობლემების დისტანციურად მოგვარება.
2. IP PBX – ის სისტემის მონიტორინგი.
3. სპეციალისტის გამოძახება - თვეში ერთხელ.
4. E-mail კონსულტაცია.

IP PBX - ის ტექნიკურ მომსახურებაში არ შედის:

1. სერვერის უსაფრთხოება.
2. არსებულ კონფიგურაციაში ცვლილებების შეტანა,
3. დამატებითი მოდულების ინსტალაცია,
4. სერვერის აპარატურული პრობლემების მონიტორინგი და მათი მოგვარება.

შემსრულებლის სახელით:

დირექტორი:

_____ ა. ქევხიშვილი

* GEORGIA. TBILISI * შპს "ჯეონეთი" "GEONET" LTD * 204918321 *

დამკვეთის სახელით:

დირექტორი:

_____ ბ. კუდაგი

NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS * 211380474 *